



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თელავი

N 82
27/12/2019

82-09-4-201912271817



თელავის მუნიციპალიტეტში 2020 წელს განსახორციელებელი სპორტულ-
ახალგაზრდული პროგრამის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“
24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. დამტკიცდეს თელავის მუნიციპალიტეტში 2020 წელს განსახორციელებელი სპორტულ-ახალგაზრდული პროგრამა დანართის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაშია 2020 წლის 01 იანვრიდან.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

არჩილ თხლაშიძე


საკრებულოს თავმჯდომარე
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო



თელავის მუნიციპალიტეტში 2020 წელს განსახორციელებელი სპორტულ-
ახალგაზრდული პროგრამა

№	სპორტულ-ახალგაზრდული ღონისძიების დასახელება	აღწერა	განხორციელების პერიოდი	თანხა (ლარი)
1	სპორტული ღონისძიებების/ინიციატივების განხორციელება და მხარდაჭერა	თელავის მუნიციპალიტეტში შემავალი საჯარო სკოლების მოსწავლეების მონაწილეობით გაიმართება სხვადასხვა სპორტული ოლიმპიადები, ახალგაზრდებს შორის ჩატარდება ტურნირები სპორტის სხვადასხვა სახეობებში, მოხდება სხვადასხვა სპორტული ინიციატივების დაფინანსება	წლის განმავლობაში	22 000
2	ახალგაზრდული პროექტი „ეტალონი“	პროექტი ატარებს საგანმანათლებლო-შემეცნებით ხასიათს და ტარდება თელავის მუნიციპალიტეტში შემავალი საჯარო სკოლების მოსწავლეებს შორის	წლის განმავლობაში	3 000
3	ექსკურსია	მოეწყობა რამდენიმე საგანმანათლებლო-წამახალისებელი ხასიათის ექსკურსია-ბანაკი, როგორც სოციალურად დაუცველი სკოლის მოსწავლეებისათვის, ასევე წარმატებული ახალგაზრდებისათვის	წლის განმავლობაში	34 000
4	ახალგაზრდული პროექტები	სხვადასხვა ახალგაზრდული ინიციატივების ფინანსური მხარდაჭერა	წლის განმავლობაში	16 500
5	ახალგაზრდული საახალწლო შეხვედრა	შემაჯამებელი შეხვედრა ახალგაზრდებთან გაწეული მუშაობის შესახებ, სადაც დაჯილდოვდებიან წარმატებული ახალგაზრდები	დეკემბერი	3 000
	ჯამური თანხა (ლარი)			78 500

არჩილ თხლაშიძე



საკრებულოს თავმჯდომარე
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო